N 146 24/04/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი
23.04.2019 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:

ბესიკ ტაბიძე, ზაალ სანაძე, კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე, ციცინო ჩხაიძე, გიორგი გვარჯალაძე, რეზო კვერენჩხილაძე, გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრის თორნიკე ტიკაძის ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ განცხადების განხილვა.

/ მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

/ მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განხილვა.

მომხსენებელი: ბესიკ კუპრაძე/

4. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ წევრის თორნიკე ტიკაძის ფრაქციის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ ,მან აღნიშნა, რომ ფრაქციის წევრმა თორნიკე ტიკაძემ განცხადებით მომართა საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს შემადგენლობიდან გასვლის შესახებ სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხი ფრაქციის წევრებმა ცნობად მიიღეს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს სასოფლო დარბაზის ერთობლივი ძალისხმევით სოფელ გრიგოლეთში განხორციელდა პროექტი ,,გურიის რეგიონის სამკურნალო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალიის რუკის ფორმირების საფუძველზე“. პროექტის შედეგმა, კერძოდ კი, გრიგოლეთის სანაპირო ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურებამ განუზომლად გაზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი და შესაძლებლობები. მან ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა ,,2017-2021 წლების გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიული გეგმა“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამ სტრატეგიის დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანის განხორციელება და დამტკიცება. კერძოდ, სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით უკეთესი იქნება შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი, საკრებულოს წევრებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ სურვილი აქვს გახდეს აღნიშნული დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 8, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებით 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 8757600 ლარით, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა ათი ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 20250615 ლარი. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 16984817 ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 252207 ლარით აღემატება. წინა წელთან შედარებით (101,5%-ით), აქედან გრანტის სახით მიღებულია 13337218 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 6238600 ლარი, წინა წელთან შედარებით 884400 ლარით მეტი, მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4515103 ლარი, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე 2262310 ლარი, ასევე სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საფინანსო წლის განმავლობაში მიმართულია, 2017 წელში ამ დანიშნულებით ჩამორიცხული 1259104 ლარი. საფინანსო წელში შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) სახით მიღებულია 3647598 ლარი, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1078064 ლარით. საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 443789 ლარი, რაც გეგმის 98,6%-ს შეადგენს, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავლებმა 1993754 ლარი შეადგინა, გეგმა შესრულებულია 122,5 %-ით, მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 438961 ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 858324 ლარი შეადგინა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 174779 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 502679 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1021622 ლარი, გეგმის შემოსავლები შეადგენს 116,6 %-ს, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 135843 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან 14087 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულია 9063 ლარი, რაც რეალობას არ ასახავს, ამ კუთხით მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, კერძოდ პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს თუ რა ფაქტორები უშლის ხელს მოსაკრებლის ბიუჯეტში სრულად შეტანას. ჯარიმები, სანქციები და საურავები მიღებულია 767111 ლარი, არაფინანსური აქტივების კლების შემოსავალმა 188434 ლარი შეადგინა, საფინანსო წელში განხილული იქნა 18573435 ლარის ხარჯი, აქედან მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართა 9841879 ლარი გაწეული ხარჯების 53,0 %-ია, სუბსიდირებისათვის (ა.ა.ი.პ-ების და შპს-ების) სახით ჩაირიცხა 5580733 ლარი ხარჯების 30,0 %-ი, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1718416 ლარი, მიმდინარე ხარჯების 19,7 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 150763 ლარი 1,7 %-ი, მივლინების ხარჯებზე 11051 ლარი, ოფისის ხარჯებზე მიიმართა 201825 ლარი ხარჯების 2,3 %-ი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯებზე 152163 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,7 %-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 485489 ლარი, მიმდინარე ხარჯების 5,6 %-ი. 53650 ლარი ჩარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდის ნაგავმზიდებისა ურნების შეძენაზე აღებული კრედიტის სარგებლის პროცენტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ გასული 2018 წელი ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით იყო ნორმალური გასულ წლებთან შედარებით.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 9 , წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა

დეპუტატმა კახა ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ უმჯობესი იქნება დაიწყოს მსჯელობა ა(ა.)ი.პ ლანჩხუთის გურიას ხელმძღვანელობასა და მუნიციპალიტეტს შორის არსებული ხელშეკრულების შეცვლის საკითხთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს კლუბის მენეჯმენტი.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ კლუბის ხელმძღვანელობა არ არის მთავარი კლუბში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ა(ა)იპ ლანჩხუთის გურიას ამჟამინდელ ხელმძღვანელობას კლუბში დაფინანსების კუთხით მომართული აქვს 120 ათასი ლარი, ასევე ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა დამატებითი თანხების მოსაპოვებლად. ასევე მან განმარტა, რომ ლანჩხუთი ცხოვრობს გურიას წარმატებით და როგორც კლუბის საპატიო პრეზიდენტი ბოლომდე იბრძოლებს კლუბის გადასარჩენად. მისი თქმით, საკრებულოს მიერ დამტკიცებული 93 ათასი ლარი, რომელიც სასამართლო დავალიანების გასასტუმრებლად იქნა გამოყოფილი, დაახლოებით 53 ათასი ლარი ჩაირიცხა დავალიანების დასაფარად, ხოლო 40 ათას ლარამდე თანხის ჩარიცხვა ფერხდება სახელმწიფო ხაზინიდან. იგი მიიჩნევს, რომ ამ პროცესს ხელოვნურად უშლიან ხელს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს სახსრები ა(ა)იპ ლანჩხუთის გურიას ფინანსური უზრუნველყოფისთვის. ნახევარი მილიონი ლარი დავალიანება, რომელიც არსებობს კლუბში წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდიდან უქმნის პრობლემებს კლუბს.

მან აღნიშნა, რომ რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ 4 მილიონ ნახევარ ლარზე გაკეთებულია პროექტები, რომლის განხორციელება დაიწყება უახლოეს მომავალში. ასევე გაკეთებულია მილიონიანი პროექტი ქალაქის სანიაღვრე არხებთან დაკავშირებით, რომელიც ორ ეტაპად განხორცილდება.

მისი თქმით საავტომობილო გზების დეპარტამენტში გაგზავნილია წერილი ცენტრალური გზის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, გვიმბალაურის მონაკვეთიდან შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის შესასვლელამდე. ასევე ცენტრალურ პარკში არსებული ფილების შეკეთება დაევალა ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახურს, რომელიც უახლოეს დღეებში დაიწყებს სამუშაოს შესრულებას.

დეპუტატმა ციცინო ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში უნივერმაღის უკან არსებული მდგომარეობა არის საგანგაშო, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის უფროსების მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ ფაქტის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას.

დეპუტატმა რეზო კვერენჩხილაძემ აღნიშნა, რომ გადაუჭრელ პრობლემად იქცა ქალაქში არსებული საპირფარეშოს თემა, პრობლემურია იქ არსებული შვიდი ოჯახის საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, მოსახლეობის მხრიდან ინტენსიურად მიმდინარეობს ამ სისტემის გაწმენდა, თუმცა უშედეგოდ, სისტემა არის მთლიანად შესაცვლელი.

ფრაქციის თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძემ განმარტა, რომ სუფსა-ღრმაღელის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთი არის ცუდ მდგომარეობაში, ფაქტიურად უამინდობის დროს ვერ ხერხდება გადაადგილება. ასევე პროექტები, რომლებიც ხორციელდება სოფლებში არის ხშირ შემთხვევაში უხარისხოდ გაკეთებული.

დეპუტატმა გიორგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში, ნინოშვილის ქუჩაზე, სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზის საფარი არის დაზიანებული და საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაბილიტაციას.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა

ბესიკ კუპრაძე



ფრაქციის თავმჯდომარე
ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"